

ლიტ. წერილი

„ბუკი"

(ტ. „ცისკარი" 1861 წ. № 3)

ბუკი

39504

ყ. რედაკტორო!

ყოველნი კეთილნი დაწყობანი, რომელთაც საგნად აქვთ საზოგადო სარგებლობა, ლაზარეთები, შკოლის მოწყობანი და თეატრების გამართვანი, ჩვენს დროში აღიძრნენ საჭიროდ საზოგადოებისათვის. ვინც კი ევროპიისა და რუსეთის ჟურნალებსა კით-ხულობს, ის დიდ დამემოწმება ამ სიტყვებზედა. დრომ განვლო, როდესაც სახალხო საჭიროების

(*) მოგვკრა ყური ორს სამ ალაგს, ვითომც გვაპირებენ კრიტიკის დაწერას, ჩვენს ზოგი ერთს აზრზედ, რომელიც დაბეჭდილი იყო ფებერვლის ნომერში, და თან ამ დაპირებას ზედ დაჰმატებენ, ვითომც ჩვენ არ დაუბეჭდავდეთ, რადგანაც ჟურნალი გამოდის ჩვენს მეთვალყურეობასა ქვეშე.—უმორჩი-ლესად გთხოვთ იმ ყმაწვილთ, უკეთუ მართლად ეს განზრახვა აქვსთ, ალასრულონ თავიანთი განზრახვა,—ჩვენზედ დაწერილს კრიტიკას დიდის სიხარულით მივიღებთ და დავბეჭდავთ,—რასაკვირველია არც უპასუხოდ დავაგდებთ. რედ. ბერ.

Библиотека-Музей

აღსრულებაში მოყვანისათჳს, საზოგადოება მიჰმართავდა მთავრობასა და მას მოსთხოვდა შემწეობასა. ასეც უნდა იყოს. მხოლოდ საზოგადოების თჳთ მზრუნველობა და იმის მხრითვე დაწყება თჳსს შესახებთა საქმეთა მისცემს ხალხს მოძრაობასა, დააყენებს განათლების გზაზედა. ჭეშმარიტი განათლება ისე სწავლათ საგნების მითჳსებაში არა მდგომარეობს, როგორათაც მისდომილებაში საზოგადო საჭიროებათა და მათ აღსრულებაში საზოგადოებისაგანვე. ასე ესმით ეს ყოველს განათლებულ ქუეყნებში. თჳთ ამერ-იმერეთშიაც ასე იყო ძუელს დროებში. უმეტესი ნაწილი მშუენიერთა ტაძართა და მონასტერთა, აგრეთვე თარგმნილებანი საეკლესიო და საერო წერილთა ქართულს ენაზედ, შესრულებია ხალხსა თავის-თავად, ქველთ-მოქმედებისათა ქუეშე ნაჭირთა და გამოჩენილთა პირთა. ამ წესსედ უნდა დავემყარნეთ აწცა. და ეს არც არის ჩუენთჳს ძნელი. ამერ-იმერნი თჳთ ბუნებით არიან მდიდრად მონიჭებულნი და სავსენი მიდრეკილობითა ყოველისა კეთილისადმი. საჭიროა მხოლოდ, იმათ ჰყვანდეთ რამდენიმე კარგათ მომზადებულნი და მზრუნველნი წინამძღოლნი. თუ ამ გვარნი პირნი ეყოლებიან ჩუენს საზოგადოებასა, ის ადვილად მიხვდება მათს აზრსა

და მიიღებს მათს მთავრობისა.

დასამტკიცებლად აი ერთი შემთხვევა ქუთაისში. აქ რამდენიამე პირთა განიზრახეს საერო-სასარგებლოდ წარმოდგენა ქართულს ენაზედ თეატრისა. ამ-გვარი წარმოდგინებები იყო პირველად თ. გ. დავითის-ძემ ერისთავმა ათის წლის წინათ, ტფილისში. მაგრამ ის საგანი, რომელიც აწ აქუთ, იმას არა ჰქონია მხედველობაში. უნდათ წარმოდგინებებით შეადგინონ იმდენი ფული, რომ დაბეჭდინონ ერთი უცხო წიგნი, რომელიც დიდ ცოტათ წაუკითხავთ და რომლისაც გამოცემა დიდ საჭიროა. ჩუენ ვამბობთ «ყარამანიანზედ.» ეს წიგნი შეუთხზავს უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგის ძეს იოანეს, და შეიცავს მთელის მეთვრამეტე საუკუნოს ამერ-იმერთა ზნეობათა და ყოფათა, და შესანიშნავთა ისტორიულ-პირთა მოქმედებების გამოხატულებისა, აგრეთვე საქართველო-მთელის ისტორიისა და მეცნიერებათა. ეს თხზულება მთელი ენციკლოპედიაა და არის დაწერილი მშვენიერის ენითა. ამ თხზულებაზედ არ ვავრცელებ სიტყუასა, ბ. რედაქტორო, ამისთჳს რომ აპრილის «ცისკრისათჳს» თქუენ მიიღებთ ჩემგან იმაზედ ვრცელს სტატიას. მხოლოდ გეტყჳთ, «ყარამანიანი» ისეთი რამ არის,

რომ თვითეულს ქართველს გულში უნდა ჰქონ-დეს და სიყვარულიცა უნდა იყოს გულმოდგინედ ჩვენის ენის სწავლისათვს.

ქართველის თეატრის დადგენა სასარგებლოდ „კალმასობისა დაბეჭდვისა დიდის სიამოვნით მი-ღებულ იქმნა ჩვენის ქუთაისის საზოგადოებისაგან. თვთ გენერალ-გუბერნატორის თ. გ. რ. ერისთავისა და გუბერნატორის სახლობათა მიიღეს, რომელთა-თაც საზოგადოების მწევრთა, გულითადი მონა-წილეობა. უპირველესნი საქმის დამწყობნი და ამასრულებელნი პირნი იყვნენ გიორგი ბესარიო-ნისძე ლოლობერიძე, მოსკოვის უნივერსიტეტის მოსწავლე და კაპიტანი კოპაძე. ე. ლოლობერიძე სავსე გულს-მოდგინებითა ყოველის კეთილისათვს, ამხნევებდა მოთამაშეთა, შეკრებდა მათ თავის სახლში და კისრულობდა სარკის საქმის წარმო-ებად. კარგმა სცენერის გულთბილობის მცოდნემ უ. კოპაძემ, დეკორაციის დადგმის გარდა მიიღო თვისთავზე რეჟისსორის თანამდებობა და აკტორ-ნი-აკტრისები დაუყენა თვითეული თავისს წეს-ზედა. წარმოდგენა იყო კვირაში 3-ს ამ მარტს, საღამოს შემდეგ 8 საათით. ქუთაისის კეთილშო-ბილთ საზოგადოების პირნი და მოქალაქენი თვ-თქმის არავინ დაკლებია, სრულ-მასრულ სავსეები

დამაც შეიყარნენ თავად-აზნაურნი. ხალხი შემოკრბა მრავალი. არათუ ზალა იყო გაჭედილი, ერდოცკი გაივსო. წარმოსადგენლად აღირჩიეს «გაყრა» თავადის გიორგი დავითის ძის ერისთავისა, და მოთამაშენი იყვნენ შემდეგნი:

ანდუყაფარ, ქვრივი. . . ს. აბულაძე.

ძმანი მისნი: ivane
ივანე გაზდილი რუსეთში და ახლად მოსული ვარშავიდამ. — თავადნი ლიტემბუ-ლიძენი. ა. მეიფარიანი.

პავლე. . . . . . კ. დ. წულუკიძე.

მაკრინე მისი ცოლი. . . ნ. მაისურაძისა.

ნინო პავლეს ქალი. . . კნიაჟნა ელ. წერეთლისა.

ფარღამზერდი, მაკრინეს ძმა. კნიაჟ. მგ. აგეევისა

მიკირტუმ გასპარიჩი ტერდატოვი,

ვაჭარი ანდუყაფარის მეგობარი. ვრ. მიზანდაროვი.

თათელა მისი ცოლი. . . ნ. მაისურაძისა.

შუშანა მიკირტუმის ქალი. . ლ. ფომინა.

რამაზ სუდის სეკრეტარი. . დ. ბაქრაძე.

ბარძიმ, ლიტემბულიძეების ნათესავი. კნ. აბ. მაჩაბელი.

ბარამ, ანდუყაფარის მოურავი. კნ. მ. ლორთქიფანიძე.

კომისიონერი, თათელას ძმა. გ. კლდიაშვილი.

გაბრიელ, ივანეს მსახური . . კნ. თ. დადიანი.
ბაშიერი, იმერელი . . . კნ. ნ. ერისთავი.

ესენი ყველანი იმერეთის შვილნი იყვნენ, გარდა სამთა პირთა. იმათ შორის, არათუ არც ერთმა არ იცის სცენური ხელოვნება, გარდა მე-ფარიანისა, რომელიც თვითონვე არის აგრეთვე პიესისა: «ქმრები გაყაბით მასწავლით», უმეტესს ნაწილს სცენაზედაც არ უნახავს. ამის გარდა, ვინ მოდიოდნენ საქმეს და რეპეტიციებისთვის საკმაო დრო არა ჰქონიათ. საზოგადოება ეჭვნეულობდა წარმოდგენა-ზედ. მაგრამ ამ მოთამაშეთ მოულოდნელად გა-მოიჩინეს ნიჭები, რომელთაგანაც ზოგი მართლ არიან იმერეთის შვილნი. არც ერთი მათგანი არ შეკრთა; არც ერთი დაიბნა. თვითეული გამოდი-ოდა გაბედვით სცენაზედ, ვითომც რომ დი-დის ხნის მეჩვეულნი იყვნენ. თვითეულმა შეითვისა თავისი როლი, როგორათაც კარგმა აქტიორმა. უმჯობესად თამაშეს მაკრატუმამ, ანდუყაფარმა, თათულამ, პავლემ და მოურავმა, რომელთაც რო-ლები უმნიშვნელოვანესი იყო. უმეტესი ნაწილი ლექსები წარმოსთქვეს სიმღერით. ორკესტრი იყო გიმნა-ზიის მოსწავლეთა და მოსწავლეთაგან შემდგარი, — ფორტეპიანო, ფლეიტა და სკრიპკები. როგორათაც

სიმღერა მოთამაშეთაგან, აგრეთვე ორკესტრი იყო დიდ სასიამოვნო და მშვენიერი. სრულებით არავინ არ მოელოდა ამ გვარ წარმატებასა. აღტაცება და აპლოდისმენი იყო ხშირი და საზოგადო. ორის საათის განმავლობაში მთელი კლუბის სახლი ზანზარებდა და ირხეოდა. რასაკვირველია ეფექტს ძალი მისცა თვით «გაყრამა.» «გაყრა» არის უმ-ჯობესი კომედია, რაცკი ჩვენს სცენაზედ აქამო-მდე ამ გვარი რამ დაწერილა, — უმჯობესი, რო-გორათაც კილოვნებითის ქართულის ხასიათებისა და ზნეობათა გამოსახულობითა, აგრეთვე ნამდვილს ჩვენის კომიკურთ მხარეთ ჩვენებითა.

დაბოლოება წარმოდგენისა იყო მოსაწონი. ქორწილი, მაყრული სიმღერა, ზაცოიმლის შე-მოყვანა, უეჭოდ რომ იყო თვითად ჩაცმული და შემკული დეკორაციებულის იალქითა, ლეკური შემდეგ მილოცვა და დასასრულ ქალთა და კაცთა-გან სიმღერითვე წარმოთქმა მეკვლისა ლექსისა, რომელიმაც ავტორის მაგიერ ისინი უჩვენებენ «გაყრის» საყანსა და ითხოვენ შენდობასა ნაკლუ-ლევანებათათვის. ამ შემთხვევამ დიდი ეფექტი მისცა წარმოდგენასა. მთელი პუბლიკა დიდ კმა-ყოფილი დარჩა. ქართველნი, ვინცკი ტფილისის ქართულს წარმოდგენაებში დასწრობის, განათ-

ლექსულნი რუსნი, რომელთაც სხუა და სხუა თეა-
ტრები უნახავთ, ამბობენ, ასეთი საზოგადო მხია-
რულება არ გვახსოვსთ. მოყვარე ქება შეასხეს
ტრუპპასა. ეს იყო მიზეზი, რომ თვით მოთამა-
შენი ვახშამზედ კლუბშივე სრულს აღტაცებას
მიეცნენ. შესანიშნავი ეს არის, რომ გ. ლოლო-
ბერიძემ წარმოსთქუა ტოსტი «გაყრის ავტორი-
სათჳს და ყუელთა იქ მყოფთა პირით ერთის
ხმით ისურვეს მისი დღეგრძელობა. ეს შემთხვევა
არა თუ სასიამოვნო იქნება ჩუენთჳს დიდ პა-
ტივცემულის გ. დ. ერისთავისათჳს, ჩუენის აზ-
რით კიდეც ამტკიცებს, რომ ბოლოში არ მოე-
ისპება საზოგადოების წინაშე ის ავტორის, რო-
მელიც ბუნებას შეუმკა მაღალის ნიჭით და ისე
როგორათაც «გაყრის ავტორი», მარხავს მიწაში
თავისს ტალანტსა... ქუთაისში სიამოვნება იყო
ისეთი, რომ ეს სამი დღე, ყუელგან სახლში და
ბაზრებში მხოლოდ ამ წარმოდგენაზედ არის საუბარი.
რასაკჳრველია, ბევრი არა ჰქონდათ ბეჭდვითები ნა-
ხვსა. ეს პირნი დიდად სწყუროდნენ და კჳრისთჳს
ითხოვეს მათ განმეორება. მეორედ აგრე მოხდა.
აქ ჰსცანით, რომ ქუთაისში აშენებენ რუსულის და
ქართულის სცენებისათჳს მუსიკურ ბალაგანს, ამ
მიზეზით, რომ მუსიკა წირვის შემოსავლის

ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებ-
ლოდ დაეწყოს. დიდ სასიხარულო იქნება ამ
სურვილის აღსრულებაში მოყვანა. აგერის წარ-
მოდგენით, სარფით გარდა, რაც თუმნამდე ფული
მასდევს. ნაალდეგლამეცსაც იქნება რამდენიმე წარ-
მოდგენა შესაძლებლად იმ ფულისა, რომ, რო-
გორათაც ზემოთ ვსთქვთ. «კალმასობა» დაიბეჭ-
დოს. იმის დაბეჭდის გარდა, ჩემი აზრი ეს არის
რომ ფონდი დაფუძნოს სხვა და სხვა ქართული
წიგნების გამოცემისათვის. «კალმასობის» პირველი
ნაწილის გასინჯვით უნდა გამოიცეს მეორე მისი
ნაწილი, რომელიც შეიცავს იმერეთის აღწერასა,
და მესამე საბა ორბელიანის ლექსიკონი. ერთის
სიტყვიერის წიგნის გასინჯვით მეორე რამ წიგნი
უნდა დაიბეჭდოს; აგრეთვე მესამე, მეოთხე და
სხვანი. ფასი უნდა იყოს, რაცა შეძლება იაფი.
«კალმასობა» ორ მანათზედ მეტი არ უნდა ღირ-
დეს. სიაფე იმიტომ არის საჭირო, რომ უფრო
გავრცელდება წიგნი ხალხში და ადვილათაც გაის-
ყიდება. თჳთოეული მისცემს სარგებლობასა, რო-
მელიც ამ აზრის აღსრულებას შეუდგება: აღმოს-
ჩნდებიან დრამატიული მწერალნი; საზოგადოებას
მიეცემა მიზეზი, განათლებისა. გარდა ამისა, ნუ
დავივიწყებთ, რომ ყველანი დარწმუნებულნი

გარით, ჩუჱნის საკუთარის ენის მისუსტებაზედ. ეს დიაღ ჭეშმარიტია — და უმთავრესი ღონისძიება ენის აღდგინებისა არის ძუჱლის წიგნების გამოცემა და იაფის ფასით გასყიდვა. «კალმასობის» ხელნაწერი მხოლოდ საქართველოში მოგზაურობისა, ესე იგი პირველი წიგნი, შეიცავს რვაასამდე გვერდსა, უნდა გაიყოს ჩუჱნის ფიქრით, სამ ნაწილად და დაიბეჭდოს გარკვეულის სტან-ბით, კარგს ქაღალდზედა და არა დიდის ფორმატით.

ვიმედოვნებთ, ამ საქმის დაწყობასა არათუ ტფილისში და მთელს საქართველოში, შესაფერის მონაწილეობით მიიღებენ, არამედ იქაც ამ მაგალითს შეუდგებიან და ამერ-იმერნი საზოგადო საჭიროების შესახებთა საქმეთა მაასრულებენ, ძმობრივის თანხმობით და ერთი-ერთის შეწევნით.

გულითადი მსურველი თქუჱნის კეთილ-დღეობისა და თქუჱნის ჟურნალის წარმატებისა —

დიმ. ბაქრაძე.

6 მარტი, 1861.

ქ. ქუთაისი.

ჩუენის, მშობლიურის ენის ერთგულო თანა-
მშრომელო, საყვარელო დიმიტრი!

ჩუენ ვერა ვპოვებთ სიტყუებს, რომლის სა-
შუალობითაც შევეძლოს მადლობის გადახდა, ამ-
გვარ კეთილშობილურ და ღირს სახსოვარ აზრის
გამოხატვისათჳს. პატივი და დიდება იმერეთის სა-
ზოგადოებას, რომ ასე დაუცხრომელად ზრუნავს
ჩუენთჳს, ჩუენის სიტყვიერებისათჳს და ჩუენის
სალხის საჭიროების ასრულებაში მოყვანისათჳს. —
კვალად პატივი იმ პირთა, რომელთაცა მიუღიათ
მონაწილეობა ამ საზოგადოდ კეთილს საქმეში. —
ახლა ვიმედოვნებთ, რომ დიდის ხნით მილულე-
ბული ჩუენი სიტყვიერება გამოიფხიზლებს თვისს
ერთგულთ შვილთ შემწეობით. — ჩუენც ჩუენის
მხრივ ვეცდებით ყოვლის ღონისძიებით, მაგ
თქუენს კეთილშობილურს განზრახვას, მოვეხმარ-
ნეთ იმედითა მით, რომ საზოგადო ამერ-იმერთ
მეცადინეობით სახალხო საჭიროება ჩუენი განვრ-
ცელდება და მით ასრულდება დიდის ხნის გულ-
მხურვალე სურვილი ჩუენი, რომელნიცა დავშთე-
ბით მადლობელნი თქუენგან, რადგანც თქუენი
საზოგადოება მიზეზი, ამ სახალხო კეთილის
საქმის დაწყებისა. —

თქუენის, კეთილ განზრახვის, ასრულების,
გულმხურვალედ მსურველი რედ. კერესელიძე.